

## მხატვრული ტექსტის თარგმანის ანალიზი ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმაზე დაყრდნობით

**ლელა ონიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

[Lela.oniani@atsu.edu.ge](mailto:Lela.oniani@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.32>

სტატია მიზნად ისახავს ერთმანეთს დავუკავშიროთ მხატვრული ტექსტის და ფიგურალური გამოთქმების თარგმანი თეორიულ და მეთოდოლოგიურ მოსაზრებათა სინთეზს. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს სინთეზი და, რაც მთავარია, რამ უნდა მოახდინოს იგი? ამ კითხვის პასუხი კი შემდეგნაირად ჟღერს: ეს სინთეზი უნდა მოახდინოს ტექსტისადმი **ლინგვოკულტუროლოგიურმა** მიდგომამ, ამიტომ არამცთუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელია ეწოდოს ჩვენს მიერ ჩასატარებელ ანალიზს „**ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი**“. ა) უნდა დაექვემდებარონ ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომას და იქცნენ ამ მიდგომის სტრუქტურულ ელემენტებად. ბ) მეორე მომენტი კი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ჩვენს მიერ ხაზგასმული დომინანტური სტატუსისა, ჯერ არ გვექონდა იმ ცნების დეფინიცია, რომელიც წარმოადგენს ტერმინ „ლინგვოკულტუროლოგიურის“ ცენტრალურ ელემენტს, ამგვარი დეფინიციის გარეშე კი, ბუნებრივია, თვით ლინგვოკულტუროლოგია როგორც კვლევითი პარადიგმა ვერ შეიძენს რეალურ შინაარსს.

2) განსაზღვრის მეორე ასპექტში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ კულტურა უპირისპირდება ბუნებას, როგორც **ადამიანების მიერ შექმნილი** და არა თავისთავად არსებული გარემო: „კულტურა ნიშნავს არსებობისა და თვითრეალიზაციის ადამიანთა მიერ შექმნილ ხელოვნურ სფეროს, როგორც სოციალურ ურთიერთშემოქმედებათა და ქცევის რეგულირების წყაროს [კ.ხურუსენკო- 228-229].

3) მესამე ასპექტი ხაზს უსვამს კულტურის **ადამიანთან მიმართების** მომენტს, რომ კულტურის სუბიექტს წარმოადგენს ადამიანი: იგი ქმნის, ინახავს და ავრცელებს მის მიერვე შექმნილ კულტურულ ღირებულებებს [იქვე].

ჩვენ დავეყრდნობით კულტურის იმ განსაზღვრას, რომელსაც იძლევა კ.ხურუსენკო, „კულტუროლოგიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“. გამოვიყოფთ ამ ფენომენის მისეული განსაზღვრის სამ ასპექტს და მივიჩნევთ რომ ტექსტის ჩვენეული ანალიზისთვის მნიშვნელობა აქვს თითოეულს: 1) კულტურის ამ განსაზღვრის პირველ ასპექტში ხაზგასმულია ამ ფენომენისათვის დამახასიათებელი ის მომენტი, რომელიც გვიჩვენებს მის მნიშვნელობას **თაობათა ურთიერთმიმართების** თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, კულტურა განისაზღვრება როგორც სოციალურად შექმნილი და თაობიდან თაობაში გადაცემული სიმბოლოთა, იდეათა, ღირებულებათა, ჩვეულებათა რწმენათა და ტრადიციათა, ქცევის ნორმათა და წესებთა ის ერთობლიობა, რომელთა საშუალებით ადამიანები ახდენენ მათი არსებობისთვის აუცილებელ ქმედებათა ორგანიზებას [კ.ხურუსენკო, 228-229].

L ლინგვოკულტუროლოგია არის ინტერდისციპლინარული მიმართულება, რომელიც სწავლობს როგორ აისახება კულტურა ენაში და როგორ ქმნის ენა კულტურულ რეალობას, იგი იკვთება:

- >ენათმეცნიერებასთან
- >ჰერმენევტიკასთან
- >კოგნიტიურ მეცნიერებასთან
- >კულტუროლოგიასთან

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა არა იმდენად კულტურა (კულტურა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით წარმოადგენს კულტუროლოგიის და არა ლინგვისტიკის საგანს), არამედ ის მიმართება, რომელიც არსებობს ენასა და კულტურას შორის, და რომელიც მიჩნეულ უნდა იქნას კულტუროლოგიის კვლევის საგნად, ამიტომ ჩვენ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ კულტურის ზემოთ მოცემულ განსაზღვრას.

მხატვრულ ტექსტში და ფიგურალურ გამოთქმებში ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი გულისხმობს კულტურული სიმბოლოების გამოვლენას:

- >ეროვნული კონცეპტების ანალიზს
- >მენტალური მოდელების რეკონსტრუქციას
- >ავტორის კულტურული კოდის იდენტიფიკაციას

თარგმანი კულტურათაშორისი კომინიკაციაა, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, თარგმანი ნიშნავს:

- >ერთი კულტურული კოდის გარდაქმნას მეორეში;
- >კონცეპტების ადაპტაციას;
- >სიმბოლოების გადამუშავებას;

>ღირებულებათა სისტემის გადამუშავებას;

>ღირებულებათა სისტემის ტრანსპოზიციას;

ენა მხოლოდ კომუნიკაციის ინსტრუმენტი არაა, ის არის კულტურის მატარებელი და შემქმნელი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ:

>სიტყვები ატარებს ღირებულებებს;

>მეტაფორები ასახავს მენტალურ მოდელებს;

>ფრაზეოლოგიზმებში შენახულია ისტორიული გამოცდილებები;

>ნარატივი ქმნის კოლექტიურ იდენტობას.

როდესაც ითარგმნება კულტურულად დატვირთული ტექსტი, მაგალითად:

>ეროვნული სიმბოლოები;

>რელიგიური კონოტაციები;

>ისტორიული ალუზიები

ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი ხდება კულტურის მედიატორი. ის არ არის მხოლოდ ლინგვისტური შუამავალი, ის ინტერპრეტატორია. თუმცა ლინგვოკულტუროლოგიის მიხედვით:

>აბსოლუტური ექვივალენტობა არ არსებობს

>თარგმანი ინტერპრეტაციაა

>თარგმანი ქმნის ახალ ტექსტს ახალ კულტურულ სივრცეში

>მნიშვნელობა მოლაპარაკების პროცესში ყალიბდება

ლინგვოკულტუროლოგიურად თარგმანი ნიშნავს:

>კონცეპტების ტრანსფორმაციას

>კულტურული ღირებულების მოლაპარაკებას

>მნიშვნელობის ხელახალ კონსტრუირებას

თარგმანი არ არის სიტყვების გადატანა ის არის კულტურათა დიალოგი, ენა არ არის მხოლოდ კულტურისა და აზროვნების მატარებელი. ეს სფერო იკვლევს:

>კონცეპტებსა და კატეგორიებს

>მეტაფორულ აზროვნებას

>ნარატიულ და კოგნიტიურ სტრუქტურებს

>კულტურათაშორისი აღქმის გასხვავებებს.

ლინგვოკულტუროლოგიურად: >თარგმანი ვერ გადაიტანს მთლიან კულტურულ სივრცეს

>იგი ქმნის ახალ მნიშვნელობას ახალ კონტექსტში

>ტექსტი ხდება დიალოგი ორ მსოფხვედვას შორის

მაგალითისათვის გავანალიზოთ ქართული აფორიზმი: “რასაცა გასცემ, შენია, რას არა დაკარგულია“ ინგლისურად თარგმნისას “What you give away is yours; what you keep is lost”. ქართულ ორიგინალში კონცეპტი „გაცემა“ აღიქმება არა მხოლოდ მატერიალური ქმედება, არამედ როგორც რაინდული, ზნეობრივი აქტი, რომელიც ღირსებას და გულუხვობის გამოვლინებას უსვამს ხაზს. ასევე ეს კონცეპტი უკავშირდება ქრისტიანულ ეთიკას, შუა საუკუნეების რაინდულ კულტურას, რაც ქართული იდენტობისათვის მკვეთრად დამახასიათებელია. მაშინ როცა ინგლისურ თარგმანში “give away” კარგავს იმ მნიშვნელობას, რაც ქართული ორიგინალისთვის არის ბუნებრივი და იძენს არა სულიერ ღირებულებას, არამედ მატერიალურ მნიშვნელობას.

ერთი და იგივე სიტყვები შეიძლება სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულ ღირებულებით დატვირთვას ატარებენ, განსხვავებული ენები რეალობას სხვადასხვაგვარად აყალიბებენ, რის გამოც სრული ეკვივალენტობა თარგმნისას ილუზიაა.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ თარგმნისას მნიშვნელოვანია ტექსტის გადააზრება ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზზე დაყრდნობით, რადგან შეუძლებელია კულტურათა შორის სხვაობის დაძლევა მხოლოდ გასაანალიზებელი ტექსტისადმი მხოლოდ პირდაპირი თარგმნით შემოიფარგლოს.

#### **ლიტერატურა:**

- К. Хорушенко, “Культурология“. Энциклопедический Словарь. Ростов-на-дону. “Феникс“ 1997
- გ. ლებანიძე, „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“, „ენა და კულტურა“, თბილისი 2004
- გ. ლებანიძე, კულტუროლოგიის საფუძვლები. „ენა და კულტურა“, თბილისი 2004
- მხატვრული ტექსტის თარგმანის ანალიზი ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმაზე დაყრდნობით

**Lela Oniani**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

[Lela.oniani@atsu.edu.ge](mailto:Lela.oniani@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.32>

## **Translation of a literary text on the basis of Linguoculturological paradigm**

Abstact

Article aims to discuss the interrelation of Linguoculturological paradigm in the aspect of Culturology. In modern linguistics language is connected with the phenomena of cultura, this new vision of language is called linguoculturological paradigm.

The first and main argument implies paradigmal status of linguoculturology as a research trend. The existence of interrelation between Language and culture is considered to be discussed through the linguoculturological paradigm. The literary text is considered as ‘document’ of culture and semiotical space.

With the point of linguoculturology translation is cross-cultural communication, where translator has a role of interpreting texts from one culture into another, maintaining the feeling of reality and creativity.

To sum up, we should say that absolute style equivalence is impossible, if take into consideration that there does not exist the same language system and cultural experience.